საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ადამია ნოე პეტრეს ძე

ნ. ადამია

ადამია ნოე პეტრეს ძე (21. XII. 1917, სოფ. მათხოჯი, ხონის მუნიციპალიტეტი,–VII. 1942, სევასტოპოლი), საბჭოთა კავშირის გმირი (24. VII. 1942), სნაიპერი.

1938 გაიწვიეს წითელ არმიაში და ჩარიცხეს შავი ზღვის სამხრ.-საზღვ. ფლოტში. 1940 სწავლობდა ოდესის სამხ.-საზღვ. სასწავლებელში, რ-ის დამთავრების შემდეგ ზემდეგად მსახურობდა სამხ.-საზღვ. სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დანიშნეს ზემდეგად სამხ.-საზღვ. ფლოტის ნაწილში ქ. სევასტოპოლში. 1941-42 განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა სევასტოპოლის ბრძოლებში. 1942 წლის 16-22 ივნისს მეავტომატეთა მცირე ჯგუფით მოიგერია ათზე მეტი იერიში, გაანადგურა მტრის 200 ჯარისკაცი და მოსპო 2 ტანკი.